საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი №2

ქ. ზუგდიდი 23 აპრილი 2019 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 29 წევრიდან 16 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ალექსანდრე მოწერელია** - სახელმწიფო რწმუნებული.
2. **მამუკა კვიტაშვილი** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
3. **მაიზერ ნანავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ.
4. **მამუკა წოწერია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
5. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
6. **ალექსი გაბისონია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
7. **ალექსანდრე ახვლედიანი** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
8. **ლევან კუპრეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
9. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.
10. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
11. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
12. **ცოტნე შონია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მ/შ.
13. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
14. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
15. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
16. **მამუკა პაპასკირი** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მ/შ.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
3. **იასონ შეროზია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
4. **ლევან წულაია** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი.
5. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე.
6. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სახელმწიფო რწმუნებულმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის (2019 წლის) პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსის მ/შ იასონ შეროზია.

იასონ შეროზიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით და ასევე „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №50 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტ(ებ)ი ასახულია სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებულ, 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე იასონ შეროზიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო

სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ა. მოწერელია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/